

1)

ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულების გამოყენება შეიძლება $21 \frac{6}{17} : 3$ განაყოფის გამოთვლისათვის?

ა) $(21:3) + \frac{6}{17}$

ბ) $(21:3) \cdot \frac{6}{17} : 3$

გ) $21:3 + \frac{6}{17} : 3$

დ) $21 + \frac{6}{17} \cdot \frac{1}{3}$

2)

$$6 \frac{6}{7} : \square = 2 \frac{2}{7}$$

რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?

ა) $12 \frac{12}{49}$

ბ) $3 \frac{3}{7}$

გ) 3

დ) $15 \frac{33}{49}$

3)

მრავალწახნაგას აქვს 5 წახნაგი და 6 წვერო. რამდენი წიბო აქვს ამ მრავალწახნაგას?

ა) 6 ბ) 4 გ) 9 დ) 10

4)

მიწაზე მდგომი შიმპანზე ხელით სწვდება ბანანს, რომელიც 1,84 მ-ზე მაღლა არაა. იმისათვის, რომ მოწყვიტოს ბანანი 4,5 მ სიმაღლიდან, შიმპანზემ ორმეტრიანი ჯოხი აიღო, მაგრამ ბანანს ვერ მისწვდა. დაწერე შესაბამისი ტოლობა (ტოლობები) და გამოთვალე მინიმუმ რამდენი მეტრით გრძელი ჯოხი სჭირდება შიმპანზეს?

ამოხსნა დაწერე აქ: _____

პასუხი:



5)

მეცნიერებმა აღმოაჩინეს მცენარის ახალი სახეობა. იმისათვის, რომ შეისწავლონ მცენარე მათ უნდა

- ა) მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტში ამ მცენარის შესახებ
- ბ) მოახდინონ დაკვირვება მცენარეზე
- გ) ჩაატარონ გამოკითხვა
- დ) მოიძიონ ინფორმაცია ამ მცენარის შესახებ ცნობარებში

6)

როცა თბილისში 04:00 საათია, მაშინ პრაღაში არის 02:00 სთ, ხოლო ალმატაში 06:00 სთ. თვითმფრინავი თბილისიდან პრაღაში ჩაფრენას უნდება 1,5 სთ, ხოლო პრაღიდან ალმატაში გადაფრენას სჭირდება 4,5 საათი. გიორგი თბილისიდან პრაღაში გაფრინდა თბილისის დროით 14:00 საათზე, ხოლო იქიდან დაუყოვნებლივ უნდა გადაფრინდეს ალმატაში. ადგილობრივი დროით რომელ საათზე ჩაფრინდება გიორგი ალმატაში.

ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი:

7)

ლევანს უნდა შეედგინა სამნიშნა რიცხვები ციფრებით: 0; 1; 2; 3. რამდენი სამნიშნა რიცხვის შედგენა შეუძლია ლევანს (ციფრების გამეორება არ შეიძლება).

ა) 18

ბ) 24

გ) 27

დ) 64

8)

მოცემულია მართებული დებულება:

„11-ზე იყოფა ყველა ის რიცხვი, რომლის კენტ ადგილებზე მდგომი ციფრების ჯამი უდრის ლუწ ადგილებზე მდგომ ციფრთა ჯამს, ან განსხვავდება რიცხვით რომელიც იყოფა 11-ზე“.

მოცემული ზოგადი დებულების მიხედვით რომელი კერძო შემთხვევაა სამართლიანი?

ა) 156453 იყოფა 11-ზე, რადგან $1+6+5=5+4+3$;

ბ) 175742 იყოფა 11-ზე, რადგან $1+7+5=7+4+2$;

გ) 110101 იყოფა 11-ზე, რადგან $1+1+0=1+0+1$;

დ) 11111 იყოფა 11-ზე, რადგან 11 -ით ბოლოვდება;

9)

მოცემულია უტოლობა: $2\frac{n}{4} < 2\frac{5}{8}$, სადაც n ნატურალური რიცხვია. რისი ტოლი შეიძლება იყოს n ?

ა) მხოლოდ 1-ის;


ბ) მხოლოდ 1 ან 2-ის;

გ) მხოლოდ 1; 2 ან 3-ის;

დ) მხოლოდ 1; 2; 3 ან 4-ის.

10)

დიაგრამაზე გამოსახულია ზოგიერთი გარეული ფრინველის ფრენის სიჩქარე კმ/სთ-ში.



გარკვე რამდენჯერ მეტია მოცემულ ფრინველთა შორის ფრენის მაქსიმალური სიჩქარე მინიმალურ სიჩქარეზე.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

11)

ჩაწერე რიცხვები ათწილადის სახით და შეავსე ცხრილი:

წილადი	ათწილადი
$\frac{3075}{100}$	
$\frac{3}{4}$	

12)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია 1,2 –ის ტოლი უკვეცი წილადი?

ა) $\frac{12}{10}$

ბ) $1\frac{2}{10}$

გ) $1\frac{1}{5}$

დ) $1\frac{2}{5}$

13)

რიცხვი 8,*75 მეტია 8,675–ზე და ნაკლებია 8,98–ზე. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ პასუხშია მოცემული ყველა ის ციფრი, რომელიც შეიძლება ჩაისვას *–ის ნაცვლად?

ა) 6; 7; 8; 9

ბ) 7; 8; 9

გ) 6; 7

დ) 7; 8

14)

მოცემულია ციფრები: 0; 1; 2; 3; 5; 7. თითოეული მათგანის მხოლოდ ერთხელ გამოყენებით შეადგინეს უდიდესი ექვსნიშნა რიცხვი. რომელია სწორი პასუხი?

ა) 701235

ბ) 712350


გ) 123570

დ) 753210

15)

მათ. VI.1. (2) გამოსახავს ათწილადებს სხვადასხვა სახით (მათ შორის რიცხვით სხივზე)

ცარიელ უჯრებში ჩაწერე A და B წერტილების შესაბამისი ათწილადები



16)

რომელია სწორი ტოლობა?

ა) $a + 1 + 0,5a + 3 = 0,5a + 4$

ბ) $0,3 \cdot (2b - 3) = 0,6b - 0,9$

გ) $4x + 5 + 3x + 3 = 15x$

დ) $(1 + 0,5y) \cdot 2 = 1 - y$

17)

2

რის ტოლია 0,6-ის $\frac{1}{5}$ ნაწილი?

ა) $\frac{2}{25}$

ბ) $\frac{3}{25}$

გ) 1,2

დ) 3

18)

ცხრილში მოცემულია ერთმანეთზე დამოკიდებული ორი სიდიდის სხვადასხვა მნიშვნელობები:

x	y
5	10
6	13
7	16
8	19

რომელი ტოლობა გვიჩვენებს ამ დამოკიდებულებას?

ა) $y = 2x$

ბ) $y = 5x - 3$

გ) $y = 3x - 5$

დ) $y = 2x + 2$

19)


შემდეგი სივრცული ფიგურებიდან რომელს აქვს 7 წვერო?



ა)



ბ)



გ)



დ)

20)

ლილეს ოთახის ფანჯრის ფართობი 2მ^2 -ია, მზიას ოთახის ჯანჯარის კი 290დმ^2 . იპოვე რომელი გოგონას ოთახს აქვს მეტი ფართობის მქონე ფანჯარა და რამდენით?

ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი: _____

21)

4 ტონა ბეტონის ნარევი, 0,8 ტონა ცემენტს შეიცავს, რამდენ ტონა ცემენტს შეიცავს 3 ტონა იგივე ბეტონის ნარევი?

ა) 2,3 ტ

ბ) 0,8ტ

გ) 0,6ტ

დ) 0,2ტ

22)


ორი წრეწირი გარედან ეხება ერთმანეთს. დიდი წრეწირის რადიუსი 2-ჯერ მეტია მცირე წრეწირის რადიუსზე. გამოიანგარიშე მცირე წრეწირის რადიუსი, თუ ცენტრებს შორის მანძილი 18 სანტიმეტრის ტოლია.

ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი: _____

23)

პარალელური გადატანით D წერტილი გადადის S წერტილში. იმავე პარალელური გადატანით რომელ ოთხკუთხედში გადავა ABCD ოთხკუთხედი?



ა) MNKL


ბ) ESFL

გ) QNPS

დ) MQSE

24)

ააგე მოცემული ფიგურის სიმეტრიული ფიგურა მოცემული ღერძის მიმართ.



25)

რომელი წინადადებაა მცდარი:

- ა) ტოლფერდა სამკუთხედს აქვს სიმეტრიის ღერძი
- ბ) წრეს აქვს უამრავი სიმეტრიის ღერძი
- გ) ტოლგვერდა სამკუთხედს აქვს მხოლოდ ორი სიმეტრიის რერძი
- დ) სხვადასხვაგვერდა სამკუთხედს სიმეტრიის ღერძი არ აქვს.


26)

ნიკომ კვადრატული ფორმის თუნუქის ფურცელი, რომლის სიგრძე – სიგანე 6 მეტრია, დაჭრა სამ ტოლ ნაწილად. რამდენი კვადრატული მეტრია თითოეული ნაწილის ფართობი?

ა) 4 მ^2 ბ) 6 მ^2 გ) 12 მ^2 დ) 36 მ^2

27)


იპოვე ფიგურის გაფერადებული ნაწილის ფართობი, თუ ყოველი კვადრატის ფართობი 1 სმ^2 -ია.

ა) 30 სმ^2 ბ) 26 სმ^2 გ) 24 სმ^2 დ) 18 სმ^2

28)

VI კლასის მოსწავლიდან თითოეული დადის მხოლოდ ერთ სპორტულ წრეზე.

წრიულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ამ კლასის მოსწავლეების განაწილება სპორტული სექციების მიხედვით.



VI კლასის მოსწავლეთა რა ნაწილი დადის ტანვარჯიშზე ?

ა) 0,08

ბ) 0,1

გ) 0,8

დ) 0,92

29)

შემდეგი წინადადებიდან რომელია ჭეშმარიტი:

- ა) ყოველი წესიერი წილადის შებრუნებული რიცხვი არაწესიერი წილადია
- ბ) ყოველი რიცხვი თავისი შებრუნებული რიცხვის ტოლია
- გ) ყველა შერეული რიცხვის შებრუნებული რიცხვი შერეული რიცხვია
- დ) ყველა მთელი რიცხვის შებრუნებული რიცხვი წესიერი წილადია

30)

მოცემულია ცხრილი:

X	5
Y	7
$2 \cdot X + 3 \cdot Y$	

ჩამოთვლილთაგან რომელი რიცხვი უნდა ეწეროს ცხრილის ცარიელ უჯრაში?

- ა) 25 ბ) 27 გ) 29 დ) 31

31)

ქვემოთ მოცემულია მათემატიკის ოლიმპიადაში მონაწილე ოთხი მოსწავლის მიერ დავალებათა ერთი და იგივე კრებულში აღებული ჯამური ქულა:

ბესო – 10,4; ანა – 11,4; დიანა – 12,6; გია – 14,2.

რომელმა მოსწავლემ მიიღო ყველაზე მაღალი საშუალო ქულა ?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში

--

32)

თუკი ათწილადში 1259,061 მესაღებებს რაოდენობას შევამცირებთ 7-ით, რა რიცხვს მივიღებთ?

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი: